№ 223 ოქტომბერი 21, შაბათი 1889 ოქტომბერი 21, შაბათი № 223

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარაიცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასსა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი
ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, გარანცოვის მეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—15)

ქართული თეატრი
სამშაბათს, 24 ოქტომბერს,
ქართულის თეატრის არტისტები წარმოადგენენ
ახალ პიესას:
I
ჯადო სიყვარულისა
დრამატიული ეტიუდი 3 მოქმ. ა. ნათაძისა.
II
კაცის ღონეს ქალის ხერხი სჯობია
ვოდევილი 1 მოქმედ შ. საფაროვისა.
მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ციციშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, მაჩაბელი, გუნია, ცაგარელი, კანდელაკი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 20 ოქტომბერი

მომავალის წლის პირველ იანვრიდამ დაიწყებს მოქმედებას ახალი კანონი, დამტკიცებული 12 მკათათვეს. ახალი კანონი ძირეულად შესცვლის სამაზრო და სასოფლო მმართველობის საქმეს და სამოსამართლო წეს-წყობილებას მთელს იმპერიაში. უნდა ვსთქვათ, რომ დღემდე არც ერთს რეფორმას ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში არა ჰქონია წოდებრივი ხასიათი. 1861 წლის 19 თებერვლის დებულებამ არ იცოდა წოდებრივი განსხვავება. ყოველივე ცვლილება, რომელიც-კი შემოიღო უმაღლესმა მთავრობამ, შეეხებოდა იმპერიის ყველა ქვეშევრდომს, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო. ახალმა კანონმა ეს დედააზრი, ეს პრინციპი უარ-ჰყო და წამოაყენა წინ წოდება თავად-აზნაურობისა. ახალი კანონი ამ წოდებას ანიჭებს დიდს უფლებას მაზრის მართვა-კამგეობაში და ავალებს მზრუნველობასა და ზედამხედველობას სოფლის გამგეობაში. ახალის კანონის ძალით უქმდება აგრეთვე სასოფლო მმართველობაში შემოღებული უფლება არჩევანებისა. უმაღლესმა მთავრობამ საჭიროდ სცნა, თითონ ჰნიშნოს როგორც მოხელენი — ადმინისტრატორნი, აგრეთვე მოსამართლენიც. ამორჩევით მოსამართლენი დარჩებიან მხოლოდ სამეფო ქალაქებში და ოდესაში. იუსტიციის მინისტრს ეძლევა აგრეთვე უფლება, თუ საჭიროდ დაინახავს, დასტოვოს ამორჩევის წესით განწესებულნი მოსამართლენი თითო-ოროლა დიდს საგუბერნიო ქალაქშიაც.

წინანდელი რეფორმები თვალსაჩინოდ ჰყაზღვრავდა, რა ექვემდებარებოდა ადმინისტრაციასა და რა — სამოსამართლო დაწესებულებას. ახალს-კი ეს თვისება სრულებით აღარ ეტყობა. ამბობენ, ახალს კანონ-მდებლობას საგნად აქვს გაძლიერება გუბერნიასა, მაზრასა და სოფელში უფლება მოხელეთა, რომელთაც დანიშნავს პირდაპირ თვით უმაღლესი მთავრობა. მაშასადამე, სჩანს მთავრობას უფრო სასარგებლოდ უცვნია, რომ გლეხკაცობას ჩამოერთვას ის უფლება, რომლის ძალითაც თავის საქმეებს თითონვე უნდა გასძღოლოდა, თავის საქმეებისთვის თითონვე უნდა ეზრუნა.

ახალს კანონ-მდებლობაში ერთმა საგანმა უნდა მიიქციოს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება. ეს საგანია „სათემო უფროსთა" თანამდებობის შემოღება. ოც-და-თექვსმეტი გუბერნია შიდა რუსეთისა, სადაც ერობა არის დაწესებული, გაიყოფება „სათემო უჩასტკებად". „უჩასტკების" რაოდენობა დამოკიდებულია „დროებით დაწესებულის კომიტეტისაგან". ამ კომიტეტსა აქვს მინდობილი მთავრობისაგან მოიყვანოს სისრულეში ახალი კანონ-მდებლობა.

ჩვენში ახალ წეს-წყობილებას ორის წლის შემდეგ შემოიღებენ, თუ მანამდე რაიმე სხვა ცვლილება არ მოხდა თვით რუსეთში. სათემო უფროსს მიენიჭება სრული უფლებანი ეხლანდელის მომრიგებელის შუა-კაცისა და მომრიგებელის მოსამართლისა. როგორც უკანასკნელს, ისე სათემო უფროსს გულზედ ექნება გადაკიდებული ძეწკვი ზედ-წარწერით: სათემო უფროსი. სათემო უფროსი იქნება სრული უფროსი მარტო გლეხებისთვის, სხვა წოდებრივისა-კი იგია მხოლოდ მოსამართლე. სათემო უფროსებს ჰნიშნავს მთავრობა განსაკუთრებით ტახტის აზნაურთაგან. მინისტრს აქვს ნება, თუ ვერ შესრულდა საჭირო რიცხვი ღირსეულ ტახტის აზნაურთაგან, დანიშნოს სხვა წოდების კაციც.

სათემო უფროსი თვალ-ყურს ადევნებს საგლეხო მართვა-გამგეობას, მოვალეა წელიწადში ორჯელ მაინც დაათვალიეროს საქმის წარმოება სოფლის სასამართლოებში, თავისით, სხვის დაუკითხავად, შეუძლიან დაითხოვოს სოფლის მწერლები ცუდის ყოფა-ქცევისათვის და ნება აქვს გააუქმოს განაჩენი სოფლის ყრილობისა. კანონისა და თავის საკუთარის ბრძანების შეუსრულებლობისათვის სათემო უფროსს შეუძლიან დამნაშავე გლე-

## ფელეტონი

### ძველი და ახალი თაობა
და
მათ გამო ლაპარაკი ჩვენში.

III *)

ყოველს დროს ერის ცხოვრებაში თავისი განსაკუთრებული ხასიათი და თვისება აქვს. აიღეთ მაგალითად ისტორია რუსეთის განათლებულის საზოგადოების წარმატებისა ამ უკანასკნელს საუკუნეში. განა ორმოციანი წელნი ჰგვანან სამოციან წლებს ხასიათითა და თვისებით? ან კიდევ სამოციანი—სამოც-და-ათიანს და სამოც-და-ათიანი—ოთხმოციანს? როცა ორმოციანს წლებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე ცხადად წარმოგვიდგება თვალ-წინ განსაკუთრებული ხასიათი და თვისება ამ შესანიშნავ ხანისა. ნება-უნებურად გული თბება და ლმობიერდება, როცა გვაგონდება ის მაღალი თვისებანი სულისა, რომელიც ჰქონდათ მაშინდელ თაობას წარმომადგენელთ. გვაკვირვებს და გვაოცებს, რა საზღვარ-დაუდებლად სწამდათ იმ კაცებს თავიანთი სარწმენი და სანატრი, რა შეურყეველის სიყვარულით უყვარდათ მართალი, რა გულ-დადებით იყვნენ გატაცებულნი აზრითა და იდეით; გვაოცებს იმათი ვრცელი და საფუძვლიანი განათლება სიღრმე-სიგანე გრძნობისა, სიფაქიზე გულისა. იდეია და იდეიით ცხოვრება, ცხოვრება მარტო ჭკუითა და გონებითა, აღტაცებული ტრფიალება საზოგადოებურ იდეალების მიმართ და არა რაის ქმნა-კი ამ იდეალების განხორციელებისათვის — აი რა არის იმ მართლა და სახელოვან კაცთა ნიშნობლივი თვისება. მთელი დანარჩენი რუსეთი, ნამდვილი და არსებული რუსეთი თავისთვის იყო, თავისთვის სცხოვრობდა, თავისი ჭირი და ლხინი აწუხებდა, ხოლო პატარა შორს ცალკე გახიზნული იყო მცირე დასი აღტაცებულ ყმაწვილ-კაცობისა, შესტრფოდა ევროპის მეცნიერებასა და ლიტერატურას და ამათის შთაგონებით ითვისებდა ისეთს აზრსა და გრძნობას, რომელიც ძალიან შორს იყო მაშინდელ რუსეთის აზრსა და გრძნობაზე. ვინც-კი ცოტად თუ ბევრად იცის ისტორია რუსეთის საზოგადოების გონებრივის წარმატებისა, იმას ცხადად და ნათლად აქვს თვალ-წინ წარმოდგენილი მეტად მიმზიდველი ცხოვრება ამ მოსკოვლ ათინელთა. ეს ახალგაზრდა ათინელები უფროს-ერთს დროს გერმანიის ფილოსოფიის სწავლებას ანდომებდნენ, ან არა და, დაუსრულებელსა და საამურს სჯაში იყვნენ გართულნი ისეთის საგნების გამო, რომელსაც უფრო განყენებულისა და ურომელო საგნების თვისება ჰქონდათ. ნუ თუ ასეთი ცხოვრება ამ ხალხისა მარტო სტანკევიჩისა და ბელინსკის ბრალია? ან ნუ თუ მიზეზი ასეთის ცხოვრებისა იყო ბელინსკის ესრედ-წოდებული „ფილოსოფოსი მეგობარი", ის აფიცერი არტილერიისა, რომელმაც შემდეგ სახელი განითქვა ევროპაში და ისიც რითი, დაუცხრომელისა და მოუსვენარის პრაქტიკულის საქმიანობით? განა უმთავრესი და განსაკუთრებული თვისება მაშინდელის დროსი არ დაეტყო იმ დასსაც, რომელიც წინანდელზედ ცოტა გვიან დაარსდა, სახელდობრ გერცენისას, ოგარევისას, სატინისას და სხვათა? განა აგრეთვე ეს დასიც, რომელიც ბოლოს პირველს შეუერთდა, მთელს თავის თავისუფალს დროს სათეორიო საგნების განსჯასა და განხილვას არ ანდომებდა, დედა-აზრებს ისტორიისას და კაცობრიობის ცხოვრებისას არ ეტანებოდა, ვიდრე მოთავენი ამ დასისა თავის ქვეყანაში იყვნენ? მართალია, ეს დასი ცოტად თუ ბევრად, სხვა საგანს ეტანებოდა, სხვა საგანს სწავლობდა, სხვა საგნის გამო ჰქონდა სჯა და ლაპარაკი; ისიც მართალია, რომ ამ ზემოხსენებულის გარემოების წყალობით საზოგადოებური წყურვილი და ნატვრა კაცობრიობისათვის უკეთესის მერმისისა ამ დასში უფრო ცხოველი იყო, უფრო სახელ-დებული, ნიშნობლივ წოდებული, მაგრამ განა ყოველ ამის გამო იცვალა თავისი ზოგადი ფერი მათმა ყოფა-ცხოვრებამ? განა ეს ცხოვრებაც იგივე მარტო ჭკუა-გონებით ცხოვრება არ იყო? განა აქაც აღტაცებით არ ეძლეოდნენ თეორიებს, იდეალების ნატვრას, ისევე არა სცემდნენ პატივსა და გულითა და სულით არ უყვარდათ ვრცელი ევროპიული განათლება? თუ ზოგაერთი სალოცავი სხვა-და-სხვა იყო — დროს განმავლობაში ეს სხვა-და სხვაობაც განჰქრა, — ეჭვი არ არის, წირვა-ლოცვა, მთელი წეს-გება ხომ მაინც ერთი და იგივე იყო. წმინდა და შეურყეველი იდეალიზმი — აი რა იყო შემაერთებელი კავშირი მათ შორის, აი რა იყო ამასთანავე უმთავრესი, ნიშნობლივი თვისება მაშინდელის დროსი.

თუმცა სამოციანი წელნი პირდაპირი და ბუნებური შედეგია ორმოციანის წლებისა, მაგრამ აბა დააკვირდით, როგორ უეცრად იცვლება სურათი! სამარეს მსგავსის მდუმარებისა და დუმილის მაგიერ, რომელიც ჰსუფევდა საზოგადოებაში წინად, ჰხედავთ ახლა ცხადად ფრთა-გაშლილს გამოფხიზლებას, არა-ჩვეულებრივს აღტაცებას; ჰხედავთ რომ საყოველთაოდ ინანიებენ წინანდელს ცოდვას, იჩენენ საკვირველს მხნეობასა და ჰოუკლელს წყურვილს გარჯისასა და საქმიანობისას! იმ მშვიდსა და წყნარ, გულ-კეთილსა და გულ-ტკბილ კაცთა მაგიერ, რომელნიც ორმოციან წლებში იყვნენ, თქვენ თვალ-წინ სდგანან პირ-მქნეთი და კლდესავით მტკიცე მქადაგებელნი და შეუპოვრად, უშიშრად ამხილებენ საზოგადოებაში ფესვ-გადგმულ ბიწიერებას; თქვენ თვალ-წინ სდგანან მხნე მოღვაწენი და იწვევენ თავის თანამედროვეთა, ერთად და მწყობრად გავისარჯნეთ სანგრძლივის მონობისაგან ეს-ეს არის ეხლა განთავისუფლებულის ერის სასარგებლოდაო; თქვენ თვალ-წინ სდგანან კაცნი მსჯავრისა და რისხვისანი, რომელნიც, თუ სადმე ბოროტია, გულ-და-გულ შეეჯახებიან, გულ-და-გულ შეებრძვიან. დაუმხარდამხარეთ, ამოუყენეთ ერთმანეთს გვერდში ცეცხლ-მოკიდებული და მხნე დობროლიუბოვი, რომელიც წმინდაა თითონაც და წმინდანობას თხოულობს სხვისგანაც, — ამოუყენეთ ეს კაცი გვერდში უწყინარსა და გულ-ტკბილს სტანკევიჩს? დაუმხარდამხარეთ ერთმანეთს ეს ორი უფრო ცხადნი გამომეტყველნი თავ-თავის ეპოქისა და თქვენ მიხვდებით, რა განსაკუთრებულის თვისებისა იყო ან ერთი და ან მეორე ასე საკვირვლად განსხვავებული დრო.

ჩემის აზრით, არც მეცნიერი დამწერი მილლის „საპოლიტიკო ეკონომიის" სხოლიოებისა, ერთის მხრით, და არც მეორეს მხრით „გაშმაგებული, გულ-ცეცხლი ბესარიონი", როგორც უწოდებდა ბოტკინი ბელინსკისა, არ არიან გამომეტყველნი თავ-თავის ეპოქისა. პირველის შესახებ უნდა ვსთქვათ, მაგალითად, რომ ბუნებამ ის კაცი სრულიად იმ ცხარე და აღტაცებულის დროისთვის არ გააჩინა, როგორიც იყო დრო სამოციანის წლებისა. სწორედ ამ კაცის მაგალითითა ვხედავთ, რა ძალა და ზედ-მოქმედება აქვს კაცზე იმ საზოგადოებურს წყობილებას, რომელსაც, მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ „დროს" ან „ხანას" ვეძახით. კაცი დიდის მკვლევარის ჭკუისა, ვრცლად და ფილოსოფიურად განათლებული, საკუთრივ ფილოლოგი, სამეცნიერო და საპროფესორო მოღვაწეობისთვის მომზადებული, სრულიად უეცრად და უსაბედად ჩავარდა შიგ შუაგულ ცხოვრების მორევში. მართალია, აქაც არა ჰკარგავს თავის დამჯდარს, მახვილიეით მჭრელს, ეჭვიანსა და, ცოტა არ იყოს, დამცინავს გონებას, მართალია, აქაც, თუმცა გარშემო ყურთასმენა არ არის საყოველთაო ქიჟილ-

*) იხ. „ივერია", № 222.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი დააპატიმროს სამ დღემდე და გადაახდევინოს ჯარიმა ექვს მანეთამდე. სათემო უფროსსავე ექვემდებარება სოფლის პურის მაღაზიები, სასოფლო ფული და თანხა; ზრუნავს გლეხთა ზნეობისა და სწავლისათვის; ზედამხედველობას უწევს ყველა საკრედიტო დაწესებულებას სოფელში და სასოფლო ბანკებს.

ამედამ ცხადად სჩანს, რამდენად დიდია უფლებანი მომავალის სათემო უფროსისა. კანონ-მდებლის სურვილისამებრ, მართლაც სათემო უფროსი შეიქმნება „მზრუნველი სოფლის მკვიდრთა“. განსხვავება ძველსა და ახალს დებულებას შესამჩნევი აქვს. უწინდელ „საგლეხო საქმეთა“ დაწესებულებას ჰქონდა მხოლოდ საკასაციო დაწესებულების ხასიათი. ახალ «საგლეხო საქმეთა» დაწესებულებისაგან-კი კანონი ბევრსა თხოულობს. მისის სიტყვით: „Ими устанавливается надзоръ блюстительный, всюду проникающій, прокурорскій и полицейскій, а отчасти даже имущественный и нравственный“. რამდენად შეითვისებს რუსეთის ერი ამ ახალ კანონ-მდებლობას, რასაკვირველია, ამას დრო გამოაჩენს.

დასასრულ აქვე ორიოდე სიტყვით მოვიხსენიებთ იმ ცვლილებას, რომელსაც მოახდენს ახალი კანონი გლეხის სასამართლოსა და მართვა-გამგეობაში. 1861 წლის 19 თებერვლის დებულებამ სოფელს მიანიჭა თვით-მმართველობა და სრული თავისუფლება. სოფელი ირჩევდა მოხელეთ, ვისაც უნდოდა, და განაგებდა თავის საქმეს თავისისავე მოხერხებისა და სურვილისამებრ. ახალი კანონი-კი მის უფლებას შესამჩნევად ჰკვეცავს ფრთებს. სოფელმა უნდა ამოირჩიოს კანდიდატები, რომელთაგანაც სათემო უფროსი თავისის უფლებით დანიშნავს მოსამართლეებს. ძველი კანონი მამასახლისს ნებას არ აძლევდა გარეულიყო სოფლის მოსამართლეთა საქმეში, ახალი-კი უბძანებს ითავმჯდომარეოს სასამართლოში. ერთის სიტყვით, სოფელშიაც, როგორც მაზრაში, წინანდელი განშორება და განცალკევება ადმინისტრაციისა და სასამართლოს საქმეებისა მოისპო, ყველა საგლეხო დაწესებულებას დაუცხრომელი თვალ-ყური უნდა ადევნოს სათემო უფროსმა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ადმინისტრატორიც არის, პოლიციელიც, მსაჯულიც და უმაღლესის მთავრობის ბრძანების აღმასრულებელიც.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიასთან დაარსებულმა საეკკლესიო სამზრუნველომ განაახლა სამრევლო სკოლის სახლი, მოაწყო კარგად და ყოველ ამისათვის ოც-და-ათ თუმნამდე ფული დახარჯა. სამზრუნველოს მასწავლებლად მიუწვევია სასულიერო სემინარიაში კურს-შესრულებული, დაუნიშნავს მისთვის ჯამაგირად წელიწადში 300 მან. და სკოლის შენობაშივე მიუცია შესაფერი სახლი. შეგირდები სკოლაში ეხლავე უკვე ორმოცამდე არიან. სამზრუნველოს, სამწუხაროდ, ნაკლებად აქვს ღონისძიება, მაგრამ შეგირდების მშობლებს ისე მოსწონებიათ ახალის სკოლის მოწყობილობა და წესები, რომ აღუთქვამთ სკოლისთვის ყოველ გვარი დახმარება და შემწეობა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ნასწავლს ქართველს მემამულეს განზრახვა აქვს ტფილისის გამოფენის გათავების შემდეგ წაიკითხოს სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაში მოხსენება ახალ რკინის გუთნების შესახებათ. ამ მემამულეს აზრით, თითქმის არც ერთი რკინის გუთანი, რომელიც გამოსცადეს გამოფენაზე ამ დღეებში, ისე არ შეეფერება ჩვენის ქვეყნის ნიადაგსა და მიწას, როგორც ამერიკული ახალი გუთანი ბისსელის ფირმისა. ეს გუთანი სუბუქია და მეტად ქანქლე, იწონს 1 ფუთსა და 11 გირვანქას. სუბუქ სახნავში, მაგალითად იმერეთისკენ, საცა უცდია კიდეც ზემოხსენებულს მემამულეს, გუთანს თავისუფლად ატარებს უღელი ხარი, ანუ ერთი ცხენი და ჰხნავს ექვსის გოჯის სიღრმეზედ.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენაში უკვე ექსპერტებს თავიანთი საქმე გაუთავებიათ და ამ დღეებში სხდომაც ექნებათ, რომელზედაც ღირსეულს ექსპონენტებს საჩუქარი, მენდლები და დიპლომები უნდა გადაუწყვიტონ.

*** გუშინ-წინ, 19 ოქტომბერს, სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. პ. ნაკაშიძისა. პალატის თავმჯდომარედ იყო ბ-ნი კოლბასინი, წევრებად: ბ-ნნი სტრუვე და დობრინინი და ბრალმდებლად ბ-ნი ანფილოვი. თ. პ. ნაკაშიძეს ის ბრალი ედებოდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია ოზურგეთის მაზრის უფროსის ხელ-ქვეითის კალანდარიშვილისთვის 14 სექტემბერს 1885 წლისას ტყის ჩაბარების დროს. გუშინ, 20 სექტემბერს, სასამართლომ განაჩენი უკვე დაადგინა ამ საქმისა და თ. პ. ნაკაშიძეს გადაუწყვიტა ჩამორთმევა წოდებისა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლობისა, ხოლო თ. ი. ნაკაშიძეს რვა თვით საპატიმროში დამწყვდევა. ბრალდებულნი ამ გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდნენ და განაჩენის პირი მოითხოვეს.

*** აგერ თთვეზედ მეტია, რაც ტფილისში სამეურნეო გამოფენა გაიმართა. ეს გამოფენა თითქმის ყველამ ჰნახა, ყველამ დაათვალიერა, ქალაქის მკვიდრთაგანმა, რასაკვირველია, თვირემ სოფლელთა უმეტესობას მგონი იმისი სახელიც-კი არა აქვს გაგონილი. ეხლა კავკასიის სამეურნეო გამოფენის კომიტეტს 18 ოქტომბერს მომხდარს კრებაზედ დაუდგენია, რომ გამოფენა ნოემბრის პირველს რიცხვში დაეხუროთ.

*** გუშინ-წინ, 19 ოქტომბერს, „სამეგრელოს“ ბაღში ჭიდაობა იყო გამართული. ამ სანახავს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა და ძერა არ იყო. პირველში სამი თუ ოთხი რიგობა სხვადა სხვებმა იჭიდავეს და იმათი გამოკლავება მაგდენად საინტერესო არ იყო. მაყურებელნი მოუთმენლად მოელოდნენ ნესტორ ესებუასა და თათარს ალთი-აილუღს, ამ ორ განთქმულს ფალავანს, რომელნიც იმ დღეს უნდა გაჰმკლავებოდნენ ერთმანეთს. აგერ გამოვიდა კიდეც ალთი-აილუღი, ზორბა და უშველებელი მხვილ-ძვალა კაცი. ცოტა ხანს შემდეგ იმასვე გამოჰყვა ნესტორ ესებუაც, ისიც მოსული და ტანოვანი, მაგრამ უფრო-კი სუსტის აგებულებისა. ორივე მოჭიდავე წელ-ზევით ტიტველები იყვნენ. ჯერ მოედანს დაუარეს და მერე ეძგერნენ ერთმანეთს, კარგა ხანს იძიძგილავეს და აგერ ალთი-აილუღმა ორჯელ წააჩოქა ესებუა. ხალხმა კიჟინა დასცა და „მაშ-შალას“ ყვირილი დაუწყეს თათარს. ცოტა ხანს შემდეგ, თითქო თათრის გამარჯვება იწყინაო, ესებუამ მკვირცხლი სარმა გამოჰკრა მარჯვენა ფეხით და თათარი წაატორტმანა, წააბარბაცა და ბარძაყიც-კი დააკვრევინა დედამიწაზედ. შემდეგ კიდევ კარგა ხანს იძიძგილავეს, მაგრამ პირობად დანიშნული ვადა გავიდა და ისე გაშველდნენ, რომ არც ერთს არ დაუმარცხებია.

*** ტფილისის მაზრის გლეხები სჩივიან, რომ ამ სიცივეების გამო ბევრი ცხვარი დაგვეხოცაო და კიდევ გვეშინიან, რომ შარშანდელ ყინვებისაგან გადარჩენილი ცხვარიც არ ამოგვიწყდესო.

*** ტფილისის „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ მართველობას, რომელსაც კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე თავისი ფარდული აქვს, ამ თთვის 19 ჰქონდა სხდომა და ამ სხდომაზე საზოგადოებას უნდა საჩუქრები და ჯილდოები დაენიშნა ამ ფარდულის ექსპონენტებისთვის: 17 ოქროსა და ვერცხლის მენდალი და 20 დიპლომი, რომლებიც საზოგადოებამ რუსეთის „პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისაგან“ მიიღო, მაგრამ დასაჩუქრება ექსპონენტებისა მართველობამ ცოტა ხნით ისევ გადასდო.

*** თელავი: 8 ოქტომბერს, სა-

---

ხილის გამო, ის მაინც დაწყნარებულის, სწორედ მეცნიერულის სიდინჯით არკვევს ცხოვრების სხვა-და-სხვა გარემოებას, მაგრამ მაინც ეს საკაბინეტო მეცნიერი თითონაც გაიტაცა საყოველთაო აღტაცებამ და მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთობას, დაიჭირა ადგილი მეთაურისა, დიდის ნიჭის წყალობით, და შემოიკრიბა გარშემო ყველა გულ-წმინდა და გონება-განათლებული მაშინდელი ახალგაზდა მოღვაწენი. სხვა დროს, სხვა გარემოებაში ამ დიდად ნიჭიერის კაცისაგან, ეჭვი არ არის, პირველ-ხარისხოვანი სწავლული გამოვიდოდა. მაინც-კი ბევრს მიაჩნია ევროპაში პირველ ხარისხოვან მეცნიერად და იმათ შორის ისეთს სასტიკს მსაჯულსაც-კი, როგორიც არის კარლ მარქსი. და აი, ასეთი კაცი სამოციან წლების აჩქეფებულმა და აღულებულმა ცხოვრებამ ძალა-უნებურად ჩააყენა პირველ მებრძოლთა შორის და ატეხინა საქმე საზოგადოებურის და პრაქტიკულის მოღვაწესი.

თითქმის ამისთანავე სანახავსა ვხედავთ ბელინსკის მაგალითითაც. მართლაც-და სასაცილო, ანუ უკეთ ვსთქვათ, გულ-დამწყვეტი სანახავი არ არის, რომ ეს გულ-აღგზნებული კაცი, ეს მღელვარე სულის პატრონი, რომელსაც საერო ტრიბუნისა და ახალის სჯულის ფანატიკოს-მქადაგებლის უნარი უფრო აქვს, ზის და დამშვიდებით სწავლობს რაღაც „ფენომენალოგიას სულისას“ ბრძენთაბრძენისა და მითამ წესისა და რიგის მოყვარე გეგელისას? კაცი დაბადებულა დიდის მოედანისათვის, დიდისა და აღტაცებულის აუდიტორიისათვის, რომ თავის აღგზნებულის მჭევრ-მეტყველებით დასწვას და დასდაგოს გული მსმენელისა; კაცი დაბადებულა ვრცელისა და ნიაღვარიევით წამომსკდარის საზოგადო მოღვაწეობისათვის, კაცს უნდა სივრცე თავის ძლიერის ფრთების გასაშლელად, და ისკი, — თითქო ბედმა სასაცილოდ აიგდოვო, — დროსა და გარემოების ძალით, იძულებულია გაებას გეგელის ფილოსოფიის გაუვალს ბარდებში და თავისი ძლიერი ნიჭი და ღონე მოახმაროს მაშინდელ ხალხს სალიტერატურო ჟურნალებს...

ან თუნდა დობროლიუბოვი? სხვა დრო და გარემოება რომ ყოფილიყო, განა ამ გულ-ჩვილისა და მოსიყვარულე შვილისგან, ამ უწყინარის და ღვთისნიერის ყმაწვილისაგან — ხომ ასე გვეხატება თვალ-წინ ეს კაცი იმ მიწერ-მოწერაში, რომელიც იმასა ჰქონია თავის დედ-მამასთან და რომელიც ეხლა-ხან დაიბეჭდა, — ჰო და განა ასეთის დინჯისა და მშვიდობიანისაგან ისეთი მრისხანე და წარბშეკრული მქადაგებელი გამოვიდოდა ახალის აზრისა და მოძღვრებისა? განა ამ კაცის საქმე უნდა ყოფილიყო გამკლავებოდა და პირ-ქვე დაემხო უკვე შეწყნარებული და პატივცემული ავტორიტეტები? განა ამას უნდა დაეშალა და დაერღვია საოჯახო ანდერძები, ტრადიციები? ხომ ასეა, მაგრამ დრომა და გარემოებამ თავისი ჰქმნა, რადგანაც ყმაწვილობაშივე მოასწრო ჯერ არ დასრულებულს დობროლიუბოვს, და ეს კაცი იმისთანაების მქადაგებელი გამოვიდა, რომ განუსაზღვრელად და განუსჯელად მიიზიდა გული და გონება მაშინდელ ცხარე დროების ახალგაზდობისა.

უფრო საოცარი და საკვირველი მაგალითია მეორე ნიჭიერი წარმომადგენელი სამოციან წლების ინტელიგენციისა, სახელდობრ დიმ. პისარევი. თუმცა ამ ფიცხსა და აღტაცებულს ყმაწვილს კაცს იმისთანა ბუნება ჰქონდა, რომ უნდა აჰყოლოდა საზოგადო მოძრაობის ნიაღვარსა და აჰყვა კიდეც, თუმცა ამისათვის დაისაჯა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ნიჭიერი პუბლიცისტი მთელს თავის ძალ-ღონეს ხმარობს და ჰსურს ახალგაზდობა მოაშოროს პირდაპირს თავის მოვალეობას, სახელდობრ საზოგადოების სამსახურს. ისა სჯობია ისწავლოთ ბუნების-მეტყველებაო, მარტო თქვენის საკუთარის ზნეობისთვის იფიქროთ, მარტო თქვენი საკუთარი კეთილი ცხოვრება ეძიოთო... ასე ჰქადაგობს ეს კაცი მაშინაც-კი, როცა საპყრობილეში იმყოფება იმავ იდეებისათვის, რომელსაც ყმაწვილ-კაცობას უწუნებს... აი სადამდე მიდის ხანდახან განსხვავება თითოეულ საზოგადო მოღვაწეს თვისებათა და იმ მოვალეობათა შორის, რომელსაც ძალა-უნებურად თავს ახვევს იმ მოღვაწეს დრო და ვითარება, გარემოება ისტორიისა, ანუ საისტორიო „კონიუნქტურა“, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე დინჯი და დარბაისელნი გერმანელნი!..

დააკვირდით ახლა ჩვენს საკუთარს ცხოვრებას და ჰნახავთ, რომ აქაც მოიძებნება ზემოხსენებულის ფარდი მაგალითები. მოიგონეთ პირველი ხანა ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადოების გამოფხიზლებისა. განსაკუთრებული, თვალ-საჩინო თვისება იმ კარგის დროებისა, როგორც ყველამ უწყის, ის იყო, რომ მაშინ პირველობდა აზრი კაცთ-მოყვარეობისა და, უფრო კიდევ, აზრი ბატონ ყმობის უარყოფობისა. სამოციან წლებში ახალმა სიომ დაჰბერა ჩვენს დაობებულს ცხოვრებას და აუტეხეს კიდეც ბრძოლა დაძველებულსა და დაძაბუნებულს წესსა და რიგს, ჩამომავლობით თანდაყოლილსა და დროს შეუფერებელს ჩვეულებასა და აზრს; აუტეხეს სასტიკი ომი საუკუნეთა ნაანდერძევს კაცთა სამარცხვინო ბატონ-ყმობას, რომელიც მძიმე ტვირთად დასწოლოდა ერს. ახლა არ იკითხავთ, ვინ იტვირთა ქადაგება და მახარობლობა იმ აზრებისა, რომელიც მაშინდელს დროში ღვთის გმობად მიაჩნდათ? არ იკითხავთ, ვინ ამოიღო ხმა დაჩაგრულის გლეხ-კაცობის სასარგებლოდ, ან ვინ სცდილობდა აღედგინა ფეხ-ქვეშ დათრგუნვილი სახელი ადამიანისა და მისი სიყვარული, გლეხ-კაცის სახით, ჩაენერგა ახალგაზდობის გულში? არ იკითხავთ, დასასრულ, ვინ მიიტანა იერიში თავად-აზნაურობისა და მის უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ? წარმოიდგინეთ, რომ იმავე თავად-აზნაურებმა, იმავე გვარით გათქმულ ოჯახის შვილებმა, ესე იგი სწორედ იმავ სახლის კაცებმა, რომელზედაც მიიტანეს იერიში, რომ დაექციათ, პირ-ქვე დაემხოთ ამ სახლის ეკონომიური ციხე-სიმაგრე, ესე იგი ბატონ-ყმობა და მუქთი ოფლი ყმებისა!.. პირველის შეხედვით კაცს ეგონება, რომ განათლებულ ახალგაზდა თავად-აზნაურთა მთელის თავის ღონით, მთელის თავის სწავლა-განათლებით თავი უნდა გამოედოთ, რომ შეემაგრებინათ ის უფლება-უპირატესობანი, რომელიც ხელიდამ ეცლებოდა იმათსავე დედ-მამას, იმათსავე ძმებსა და ნათესავებს; ამას ითხოვდა იმათი საზოგადოებური ხარისხი, ნათესავთ-მოყვარეობა და საკუთარი გამორჩენა. მაგრამ არა, „ბედმა“, ანუ, თუ გნებავთ, „დრომ“ ინება, რომ ისინი და სწორედ ისინი და არა სხვა ვინმე გამოსულიყვნენ და ეტევრთნათ დაცვა ადამიანისა, დაულალავად და განუწყვეტლივ ექადაგნათ მის განთავისუფლების საჭიროება. ახლა მეორეს მხრით შეჰხედეთ საქმეს, დააკვირდით აბა და ჰნახეთ, ვინ ითავა განწმენდა ქვეყნისა ხანგრძლივ ცოდვათაგან და ამით, ცოტად თუ ბევრად, გაჰფანტა დამძიმებული და სულის შემხუთველი ჰაერი? იტვირთეს უფრო პოეტებმა ანუ უკეთ ვსთქვათ, მგოსნებმა და მწერლებმა. აბა ეხლა შეჰხედეთ, რა საოცარი ამბავია: მგოსანს პუბლიცისტის კალამი აუღია ხელში, მგოსანი მებრძოლთა პირველს რაზმში ჩამდგარა, მგოსანი პირველი სცდის თოფს, პირველი მიუძღვის მესვეურსავით საზოგადოებურს მოძრაობას... რომელი სანახავი-ღაა ამაზე საინტერესო, ამაზე თავისებური, ამაზე თვალწარმტაცი?!..

გ. მაიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ღამის ოთხს საათზე, დაბნელდა, სიბნელეს მოჰყვა საშინელი ძლიერი ქარიშხალი და ქარიშხალს საშინელივე სეტყვა, რომელმაც აქაურობა დაასზარალა.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირეს ძველი წიგნები:

თ. გრ. გურიელმა—1) მარხვანი და სხვა-და-სხვა დღეს საკითხავნი, ხუცური ხელთ-ნაწერი, 2) მარხვანი და ტიბიკონი, ხუცური ხელთ-ნაწერი, 3) ჟამნი ოსით და იბიკონით, ხუცური ხელთ-ნაწერი, 4) ჟამნი თთვეთა მეტყველებით, ხუც. ხელთ-ნაწ., 5) აღდგომის წირვის წესი, ხუც. ხელთ-ნაწ., 6) მარხვანი და სადღესასწაულო, ხუც. ხელთ-ნაწ., 7) ჟამნი და მარხვანი, ხუც. ხელთ-ნაწ., 8) სხვა-და-სხვა ლოცვები და სჯულის კანონები იოანნე მმარხველისა, ხუც. ხელთ-ნაწ.

2) ბ-ნმა რ. ჯაჯანაშვილმა—1) სიბრძნე-სიცრუის წიგნი, ხელთ-ნაწერი, თავი და ბოლო აკლია, 2) დაბადებიდამ გამოკრეფილი საკითხავნი, ხუც. ხელთ-ნაწ., 3) ასის სამღვდელო და საეკლესიო წიგნი, ხელთ-ნაწ., 4) სინიდისის წიგნი, ხელთ-ნაწ.

3) მღვდელმა გ. ასათიანმა—თთვენი სურათებიანი, ხუც. ხელთ-ნაწერი

4) ალ. ნათაძემ—ნარკვევი ანუ ისტორია ბატონიშვილის ბაგრატისა, დაბეჭდ. 1880 წელს ქ. ტფილისში.

5) თ. ივანე იოსების-ძემ ვაჩნაძემ—გაზ. «ტფილისის უწყებანი»-ს სალიტერატურო ნაწილი № 3, 4 და 5 1832 წლისა.

გამგეობა საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ოქტომბრის თვრამეტს, მეცხრე ნაწილში, ღამის ცხრა საათზე, სტატსკი სოვეტნიკს სოლომონ თადეოზის ძეს ნაცვლიშვილს მოჰპარეს სახლიდამ ქალის წამოსასხამი და ტილმა 85 მანეთისა. ეჭვი აუღიათ იმავე მოსამსახურე ვასილ ფილაშვილზე. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე რიცხვს, პირველს ნაწილში, ყარლანოვის ქუჩაზე, რჩეულოვის სახლის ღერეფნიდამ სპარსეთის ქვეშევრდომმა აღი-უსეინ-აღი-ირზა-ოღლიმ მოიპარა სემინარიის მასწავლებლის ნიკოლოოზ ვასილის ძის ნიკოლსკის დრაფის პალტო. ქურდი შეიპყრო პოლიციელმა გოლოვკომ და ნაქურდალი პატრონს გადასცა, დამნაშავე პასუხის-გებაში მიცემული.

*** ამ თვის ცხრამეტს, მეცხრე ნაწილში, ნაშუადღევის შვიდს საათზე, მიხეილის ხიდზე უეცრად გარდაიცვალა ვიღაცა კაცი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მოხელე უნდა ყოფილიყო. გარდაცვალებული 50 წლისა იქნება. გვამი ტფილისის საავადმყოფოში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.

(წერილი მე-XXIV-ე)

ამ ზაფხულს საიმპერატორო კარის სამინისტროს საარქეოლოგიო კომისიამ მიანდო ჩვენს პატივცემულს ისტორიკოსს დ. ზ. ბაქრაძესა და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს კონდაკოვს,—დაიარეთ და დაათვალიერეთ იმერეთი სამეცნიერო აზრითაო. სწავლულებმა მოიარეს იმერეთი და დაათვალიერეს იქაურნი მონასტერნი, ეკკლესიანი, ეკკლესიათა სამკაულნი, ხელთ-ნაწერი წიგნები და სხ. ამ სახით მიმოვლა იმერეთისა ნაყოფიერი აღმოჩნდა. როგორც გავიგეთ ნამდვილის წყაროებიდამ, თვით მოგზაურნი არც-კი მოელოდნენ, რომ იმდენს ძვირფასს ნივთს იპოვნიდნენ, რამდენიც ჰპოვეს სხვა-და-სხვა საყდარ-მონასტერში. მათმა მოგზაურობამ არქეოლოგიას შესძინა ძვირფასნი სახარებანი, სხვა-და-სხვა სალმთო წიგნები, მინანქრიანი ნახატები, სურათები, ხატები, წარწერანი, სამოსელ-სამკაულნი და სხვა და სხვა.

მაგრამ დღეს ჩვენ პატივცემულ მეცნიერთა მოგზაურობის ანგარიშს როდი არა ვწერთ, რომ ყოველივე მათ მიერ ნანახი დაწვრილებით აღვნუსხოთ. ამ ანგარიშს ისინი თითონვე ამზადებენ დასაბეჭდად და ხელმწიფე იმპერატორისთვის მისართმევად. ამ ანგარიშს თავის დროზე დაწვრილებით გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს. ხოლო ეხლა მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ დ. ზ. ბაქრაძის მიერ აღმოჩენილ, ორს ძვირფასს ხელნაწერს სახარებას. ამას გარდა აქვე განვიხილავთ გარესჯის უდაბნოს თთვენს.

სამივე ეს წიგნი ფრიად შესანიშნავია საქართველოს მხატვრობის შესასწავლად. სამსავე ამ წიგნში, როგორათაც უკვე ცნობილს გელათის სახარებაში, ჩართულია მრავალი მინიატურული (დიდი პაწია დახატული) სურათი. როგორც სჩანს, ბაქრაძის მიერ შედგენილ და ჯერ დაუბეჭდავ ანგარიშიდამ, რომელიც ამ ჟამად ჩვენ ხელში გვაქვს, ძველის ნაშთების ზედ-მიწევნით მცოდნე არქეოლოგი ბაქრაძე ამ ახლად აღმოჩენილ სახარებების მხატვრობას უფრო მეტს ღირსებას აკუთვნებს და მეტს მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე გელათის სახარების მხატვრობას. თვით კონდაკოვიც ჰკვირობდა თურმე და სწუხდა, რომ აქამდის ამდენი ძვირფასის ნაშთების არსებობა მეცნიერებას არა ჰქონდა შეტყობილი.

თანახმად დ. ბაქრაძის ხელ-ნაწერ ანგარიშისა, განვიხილოთ ყველა წიგნები ცალ-ცალკე.

თთვენი. ეს დიდი ხელთ-ნაწერი ეკუთვნის გარესჯის უდაბნოს. შარშან იგი სხვა წიგნებთან ერთად ამ უდაბნოდგან გამოიტანეს და ტფილისის ახლად დაარსებულს მუზეუმში შეინახეს. მინიატურებისა და წერის მიხედვით ამ თთვენს ბაქრაძე მიაწერს მე-XI-მე საუკუნეს. გეზად და ცოტა მოგრძოდ ხელი წერისა გვიჩვენებს, რომ თთვენი დაწერილია ივერიის ათონის მონასტერში, რადგან მე-XI-ე საუკუნეს ათონის ხელი სწორედ ამ გვარი იყოო. თთვენს აქვს მინაწერები ბერძნული და ქართული. ბერძნულში მოხსენებულია სახელი განთქმულის ათონის ხატების მხატვარის პანსელინისა. თთვენის 61-სა და 117 კაბადონზედ ქართული მინაწერებია. მინაწერების ხელი დედნის ხელისაგან არ გაირჩევა. პირველ მინაწერში მოხსენებულია ბერი ზაქარია, მეორეში—ზაქარია ვალაშკერტელი:

„უფალო ღმერთო, წყალობით მოიხსენე სასუფევლსა შენსა ზაქარია ვალაშკერტელი. ამან იყავ.“

შემდეგ კიდევ:

ქრისტე, ადიდე სასუფეველსა შენსა და წმიდათა შენთა თანა ზაქარია ვალაშკერტელი“.

142 კაბადონზედ ჯერ ხუცურის ხელითა და მერე მხედრულის მე-XIV-XV საუკუნის ხელით მხატვარ შაგბიშვილი ამბობს, რომ ეს სალმთო წიგნი შემახაში გამოვისყიდე ვილაც თათრისაგან და სულისა ჩემის საცხონებლად გარდავეცი შალიკა ...ლისშვილს, რათა საქართველოში მიეტანაო. 143 კაბადონზედ აწერია: „წიგნი ესე ეკუთვნის სამთავროს“, „ესე თთვენი ეკუთვნის მთავარ-ეპისკოპოსს“, „უფალო და ცხოველს-მყოფელო სვეტო მოიხსენე ცოდვილი შარმაზანი“.

ზემორე-ხსენებული ზაქარია უნდა იყოს არაქსის ხეობის ვალაშკერტის ანუ ვალაშკერტის ეპისკოპოსი ზაქარია, რომელიც საეპისკოპოზოს განაგებდა მე-XI საუკუნეში ამ ხანში, ამ ვალაშკერტის ზაქარიას გარდა, სხვა ზაქარია არსად არ არის მოხსენებული. ზაქარია ვალაშკერტელის შესახებ ცნობებს გვაწვდის მისივე თანამედროვე სომხის ისტორიკოსი ლაზდივერი. იმისის სიტყვით, ბიზანტიის იმპერატორის ვასილის საქართველოში გამოლაშქრების ჟამს (1021—1022 წ.) მეფის გიორგისა (1014—1027 წ.) და ვასილის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ზაქარია, მაგრამ ვასილმა ზაქარიას ორგულობა შესწამა და კონსტანტინეპოლს გაისტუმრა. აქედგან ზაქარია უკან აღარ დაბრუნებულა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ზაქარია იყოს თთვენში მოხსენებული ზაქარია ვალაშკერტელი. შესაძლებელია, რომ კონსტანტინეპოლში წარგზავნილი ზაქარია დასახლებულიყოს ივერიის ათონის მონასტერში და იქ გადაეწეროს და დაეხატოს ჩვენი თთვენი.

გელათის სახარება. ამ სახარების აღწერას ჩვენ ვუძღვენით ორი „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“ და ამიტომ აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ შემდეგს მინაწერს, რომელიც ახლად ამოუკითხავს ბ-ნს ბაქრაძეს.

განსაკრთომელთა ღვთისა საქმეთა
წიგნი,
იემპაზით მადლითა აღმომშოპელი ჩვენი,
ოუტკივრად გაქვს ოფლით ნამუშაკევი,
რომელთა გწყურის, სვიმდით წყაროსა
ცხოველსა,
გარნა ჩემდადცა ილხდით, რომლისა
იტყვიან თავნი სტიხოსთანი სახელსა.

გელათის სახარება პალეოგრაფიულ ნიშნებით ეკუთვნის მე-XI საუკუნეს, ხოლო ხსენებული მინაწერი-კი, აქამდის შეუნიშნავად დარჩენილი, ამ აზრს უცილობელ ჰყოფს. გიორგი, რომელიც მოხსენებულია ლექსში, არის გიორგი მთაწმინდელი, რომელიც აღესრულა 1065 წელს. ეს სახარება მინიატურებით შემკულია ამავე გიორგის ხელმძღვანელობითა და მისივე საკუთრება ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა სახარებანიც მინიატურებითურთ გავრცელდა გელათის სახარების მიხედვითა და გავლენით. გიორგიმდე ამ გვარი სახარებანი არა გვხდებაო.

(დასასრული იქნება)

## უცხოეთი

საფრანგეთი. ამ თვის გასულს შეიკრიბება ახალი პალატა დეპუტატებისა. ჯერ არავინ არ იცის, როგორ დაიწყობა დასები ამ ახალს პალატაში, ვინ იქმნებიან უმეტესნი და ვინ დაიწყებენ ხელმძღვანელობას ქვეყნისას. ვსთქვათ, ეს ცხადია, რომ რესპუბლიკელები სჭარბობენ ყველა სხვა დასს რიცხვით, რაოდენობით, მაგრამ რესპუბლიკელებში გარჩევაც არის: რესპუბლიკელები განიყოფებიან სხვა-და-სხვა წვრილ დასად. სახელდობრ, არის დასი მემარცხენეთა შუაგულისა, რომელსაც მოთავეობენ ლეონ სე და რიბო, არის დასი ოპორტუნისტებისა, რადიკალებისა და სხვანი. ჯერჯერობით, ისიც-კი არ იციან ვინ იქნება პალატის თავმჯდომარე. სამსკა ასახელებენ: ფლოკეს, ბრილიონს და სხვ.

ვიდრე პალატა შეიკრიბებოდეს, გაზეთები და ორატორები სცდილობენ აღნიშნონ გზა, რომელსაც უნდა დაადგეს უმრავლესობა პალატისა, სცდილობენ დაახლოვებით წარმოიდგინონ, რა პროგრამით უნდა მოქმედებდეს მომავალი მთავრობა ქვეყნისა. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა სიტყვა რიბოსი, რომელსაც ამ დღეებში ულაპარაკნია ს. ომარეში.

„ქვეყანას უნდაო, უთქვამს რიბოს, მეთაურს მემარცხენეთა შუაგულისას: ბოლო მოეღოს ყმაწვილურს უთანხმოებას დასთა შორის, პოლიტიკას დასებისასა და ჯგუფებისას; ქვეყანას სწყურიან, რომ ეს დასნი მორიგდნენ ერთმანეთში და დაადგნენ პოლიტიკას წარმატებისას, ზომიერებისა და დამშვიდებისას, რომ მოიშორონ თავიდამ ყველა მწვავე და გადაუწყვეტელი საგანი, მთელი თავისი დრო და მოცალეობა მოახმარონ პრაქტიკულს რეფორმებს, რომელსაც თხოულობს ქვეყანა, და მისცენ მთავრობას მთელი ის ძალა და სიმტკიცე, რომელიც მისთვის საჭიროა. ასეთი სურვილი ქვეყნისა შეისმინა რესპუბლიკელების დიდმა უმრავლესობამ. განა არ გიკვირთ თქვენც ჩემსავით ის კილო, რომლითაც ლაპარაკობენ ეხლა თვით მოწინავე რესპუბლიკელები, თუნდ მაგალითად ბაროდე, რომელმაც წარმოსთქვა ამ დღეებში მოკლე, მაგრამ გონიერებითა და სამართლიანობით აღსავსე სიტყვა? უმწვერვალეს მემარცხენეთა დასის თავმჯდომარედ ნამყოფმა ურჩია თავის მეგობრებს, რომ თავი დაანებეთ სამერმისოდ ყოველ ისეთ რეფორმას, რომელიც დას-დასად გაჰყოფს რესპუბლიკელებს და რომელიც არა სურს ქვეყანასაო. ყველანი თვალითა ხედავთ ეხლა, რა ნაირ გაძლიერდა კეთილი სურვილი იმ საშიშროების წინაღმდეგ გამკლავებისა და ბრძოლისა, რომელმაც კინაღამ მიანგრ-მოანგრია რესპუბლიკა, და მიანგრ-მოანგრევდა კიდეც, რომ ღრმად არა ჰქონოდა ფესვი გადგმული. ეს საშიშროება ახლაც-კი ყველამ დაინახა, თვალით განიცადა, დაინახა იმანაც-კი, ვინც ბეცი იყო და ვერასა ჰხედავდა. ახლა ნუ თუ ცოდვა არ იქნება, რომ ეს კეთილი სურვილი, ჩვენის მიზეზით, შემცირდეს, მოისპოს და განქრეს? განა, პირიქით, არ უნდა ვეცადოთ, რომ უფრო გაძლიერდეს, გაერთიანდეს, რათა აღარ დაგვიბრუნდეს ის საამწუხარო დღენი, რომელიც ეხლა-ხან გამოვიარეთ? განა უნდა გავფლანგოთ, უანგარიშოდ დავკარგოთ ის სიმდიდრე ნდობისა, რომელიც ქვეყანამ მოგვანიჭა? რაღა თქმა უნდა, რომ ზომიერნი რესპუბლიკელნი არაფრით არ დააპროლებენ პოლიტიკას გაერთიანებისა, ზომიერებისა და პრაქტიკულის რეფორმებისას. ზომიერნი ბლომად მოვლენ ახალს პალატაში. ეს სიმრავლე მისცემს იმათ ძალ-ღონესაცა და იმ გულ-კეთილობასაც, ურომლისოდაც ხეირი არ არის არც პოლიტიკაში და არც კერძო ცხოვრებაში. თუ ჩვენ მოვახერხეთ მართლა და უმრავლესობა ვიყოლიეთ, უნდა ვეცადნოთ, რომ მთავრობას დავუბრუნოთ საჭირო ავტორიტეტი და ბოლო მოვუღოთ იმ ნაკადულს შეურაცხებისასა და ლანძღვა-გინებისას, რომელიც სირცხვილი და სიკვდილია პოლიტიკისათვის. მერე უნდა მოვყვეთ და შევისწავლოთ 1891 წლის ბიუჯეტი და ის ბნელი საგნები, რომელიც წინ წამოაყენა ჩვენმა საფინანსო მდგომარეობამ; უნდა დავამთავროთ ის რეფორმები, რომელიც უკანასკნელმა პალატამ დაიწყო და მოამზადა, შესახებ დიდ მრეწველთა პასუხის-გებისა, თუ ეინიცობაა იმათ საქმეში უბედურება შეემთხვათ მუშებს, შესახებ დამხმარებელ კასებისა საქარხნო მუშაკობისათვის, შესახებ სამოსამართლო საქმეთა წარმოების განმარტოვებისა და სხვანი და სხვანი. მე აქ ხომ მთელს პროგრამას ვერ წარმოვადგენ. ეს საქმე პალატის უმრავლესობისა და მთავრობის საქმე იქნება. მხოლოდ ამასკი ვიტყვი, რომ ყოველივე, რაც შეეხება შრომას, ეკონომიურს წარმატებას, უკეთესს განაწილებას ხარჯისა და ბეგარისას, განმარტოვებას საადმინისტრაციო აგებულებისას, გაძლიერებას სამაზრო თვით-მართველობისას, იმ პროგრამაში უფრო მეტს ადგილს დაიჭერს, ვიდრე ის, რაც საპოლიტიკო ჩხირ-კედელაობას შეეხება. რასაკვირველია, რესპუბლიკელებში არავინ არ მოითხოვს მოსპობას უკეთესის პრინციპებისას ჩვენს სასკოლო კანონ-მდებლობაში, არც დარღვევას თანასწორობისას—სამხედროში. ერთის სიტყვით, სახეში უნდა გვქონდეს მხოლოდ უმაღლესი ინტერესები რესპუბლიკისა. საჭირო არ არის ვიკვლიოთ სარესპუბლიკო უმრავლესობა. უნდა განზე გავდგათ საზღვარი სარესპუბლიკო გრძნობისა, უნდა განვამტკიცოთ იმისი საფუძველი. ბოლოს კონსერვატორებიც გონს მოვლენ, მიხვდებიან, რომ იმათი საქმე წაგებულია და დაღუპული, და ისინიც ქედს მოიხრიან დიდებულის რესპუბლიკის წინაშეო“.

## დეპეშა

18 ოქტომბერი

პეტერბურგი. ახალის სესხის გამო გამოცემულს უმაღლესს ბრძანებაში მოხსენებულია, რომ თავად-აზნაურობა ყოველთვის მზად იყო მსხვერპლად გაეწირა თავისი სიცოცხლე და ქონება სახელმწიფოსა და ერის საკეთილდღეოდ; მოხსენებულია აგრეთვე, რომ 12 ივნისის კანონით ახალი სამსახური ვაკისრებინეთ თავად-აზნაურობას და მოვიწვიეთ, რათა უფრო დაახლოვებული და ერცელი შემწეობა აღმოუჩინოს მთავრობას სამაზრო მმართველობის საქმეში და უფრო მეტი მზრუნველობა იქონიოს გლეხკაცობის საჭიროებათათვისაო. შემდეგ ნათქვამია, რომ თავად-აზნაურობის ქონებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სამართლიანობად იქმნა ცნობილი მეტი გზა მიეცეს ამ საქმეს და შემსუბუქდეს ხანგრძლივის სესხის სიმძიმე მით რომ ერთ-ხანად იქმნას გამოცემული გირავნობის მომგებიანი ფურცელნი სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისანი. ამ ღონის-ძიებით ბანკს ექმნება შეძლება, მისცეს მსესხებელთ ათ თუმანს

ნასესხზედ ნაღდი ათი თუმანი და დაუკლოს სარგებელი $4\frac{1}{2}$%-მდე. ეს შეღავათი მიეცემა იმათაც, ვინც უკვე გაიტანა სესხი. შემდეგ, მიეიღეთ რა მხედველობაში, რომ წესი შესატანის გადახდევინებისა მსესხებელთაგან მხოლოდ 4 წლის შემდეგ გამოდის, მას უკან, რაც ბანკი დაარსდა, მიეცა ცალკე დარიგება იმათაც, ვინც უნდა გაასწოროს მსესხებელთა და ბანკის ანგარიში და იმ დარიგების თანხმად შედგენილი დებულება, ნაბრძანებია, აღსრულებულ იქმნას. დასასრულ ნათქვამია: „ყველა ამ ღონის-ძიების მიღებით გამოგვიცხადებია ჩვენ ზრუნვა ჩვენი რუსეთის პირველ წოდებისათვის და მტკიცედა ვართ დაიმედებულნი, რომ კეთილშობილი თავად-აზნაურობა რუსეთისა დღესაც, როგორც მუდამ ყოფილა, პირველი შეასრულებს იმ განხრახულებას, რომელსაც გვავალებს ჩვენ მუდმივი მზრუნველობა რუსეთის ერისათვის, განგებით ჩვენდა მონდობილისათვის.

20 ოქტომბერი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: დაკლებულ იქმნას სარგებელი, რომელსაც იხდიან თავად-აზნაურნი, მსესხებელნი სათავად-აზნაურო ბანკისა $4\frac{1}{2}$-მდე და გახანგრძლივებულ იქმნას სესხის ვადა: იმ მსესხებელთათვის, ვინც იხდიან თავნის გადასახდელად $\frac{1}{2}$%-ს წელიწადში 48 წლისა და 8 თთვის მაგიერ დაწესდეს 51 წელი და 9 თთვე; იმ მსესხებელთათვის, რომელნიც იხდიან 1%-ს — 36 წელი და 4 თთვე. ეს გახანგრძლივება ვადათა და დაკლება სარგებლისა გავრცელებულ იქმნას ყველა მსესხებლებზედ: იმათზედაც, ვინც ისესხა დღემდე და იმათზედაც, ვინც ისესხებს შემდეგ. გაიცეს სესხი 1889 წლის 1 ნოემბრიდამ განსაკუთრებით ნაღდ ფულად და გამოურიცხველად 2%-ისა, რომელიც ირიცხებოდა ხოლმე გირავნობის ფურცლების გასანაღდებლად. როცა ეს წესი შემოღებული იქნება, მსესხებელთ თავად-აზნაურთ, თუ მოისურვებენ ვადაზე ადრე თავნის გადახდას, ნაღდი ფული წარმოადგინონ იმის მიხედვით, რაც ვალი გაუტანია. ამასთანავე ამისთანა მსესხებელს ნება აქვს თავნი ვალის გადასახდელად წარმოადგინოს გირავნობის ფურცელნი სათავად-აზნაურო ბანკისა, თუ 100 მანათს წარმოადგენს 98 მანათის მაგიერ, რომელიც ათ თუმნის ადგილას ყოფილა გაცემული *).

გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი იმის თაობაზედ, თუ როგორ უნდა გადაიხადონ შესატანი გარდ. სათავად-აზნაურო ბანკში იმ მსესხებელთ, რომელთაც არ შეუტანიათ ჯერ. მოხსენებულია, რა შემთხვევაში გაიყიდება დაგირავებული მამული, წესი გაყიდვისა ვაჭრობით და შედეგი იმისი, მოხდება, თუ არ მოხდება ვაჭრობა.

გაზეთები იუწყებიან, რომ ის კომისია, რომელსაც აქვს მინდობილი ნავთის წარმოების წესში მოყვანის საქმე, მალე წარუდგენს თავის მიერ შემუშავებულს პროექტს ფინანსთა და გზათა სამინისტროს.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი უარ-ჰყოფს „Kölniche Zeitung“-ის მიერ დაბეჭდილს აზრს, რომ ვითომ სამხედრო სამინისტრო ჰხარჯავს ფულს უკანტროლოდ და რომ ვითომ ნება აქვს მიცემული, თავის ბიუჯეტის მიხედვით თუნდა მომავალის ხუთის წლის ფული წინდაწინვე ჰხარჯოსო. სამხედრო სამინისტრო იმავე ანგარიშის და კონტროლის წესსა და რიგს ექვემდებარება, როგორც სხვა სამინისტრონიო.

ცალკე კომისიამ ჰიპოტეკის წესდების შესახებ გაათავა მუშაობა და პროექტი წესდებისა იმ ანგარიშით წარედგინება სახელმწიფო საბჭოს, რომ შემოღებულ იქმნას არა უგვიანესს 1892 წლისა.

ხელის-მოწერა გირავნობის ფურცლებზე მიიღება ვოლგა-კამის ბანკის ყველა განყოფილებაში.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ოქტომბ.

| | მოთხოვნილება. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულია. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $153\frac{3}{4}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 11 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $258\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 236 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. $3\frac{1}{2}$
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ $3\frac{1}{2}$
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ახლად გამართული ფოტოგრაფია

ა. ს. როინაშვილისა

მოთავსებულია ერევნის მოედანზედ, სარაზოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფისა და ზომიერის ფასით.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა.

(20—12)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში ახალი წიგნი:

## ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

თხზულება

დ. ზ. ბაქრაძისა.

ფასი ერთი მანეთი

(5—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

მან. კაპ.

ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . „ 15

Я Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово“. . „ 50

სასტუმრო

## „რუს („РОССІЯ“) ეთი“

(გოლოვინის პროსპექტზედ)

15 ოქტომბრიდამ გადავიდა ახალ მოიჯარადრეთა ხელში. ფასები საჭმელებისა და სასმელებისა წინანდელზედ ნაკლებია. სადილი სახლში მოტანით, თუ თვით სასტუმროში ღირს თთვიურად 12 მანეთიდამ 35 მანეთამდე. თვით სასტუმროში ორი თავი საჭმელი, ერთი ჰიქა არაყი და ფინჯანი ყავა ღირს 60 კაპ., სამი თავი, არაყი, ერთი ჰიქა ღვინო და ყავა—80 კაპ. საჭმელებს ამზადებს ახალი, მცოდნე და გამოცდილი, მზარეული.

სასტუმროში ცალკე ოთახებიც არის მოწყობილი მოსადილეთათვის. სადილისა და ვახშმის დროს უკრავს ორკესტრიონი. ღვინოები გვაქვს ორ აბაზიან ბოთლიდამ დაწყებული ორ მანათიანამდე. ოთახები კარგად მოწყობილებია და ღირს დღესა და ღამეში ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდე. თთვიურად უფრო ნაკლებადა ღირს.

სასტუმროს მოიჯარადრენი:
სოფრონ სხირტლაძე და იოსებ კავალენსკი.

(3—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . „ | | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავე საზოგადოების გამოცემა „ | | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავე საზოგადოების გამოცემა . . „ | | 20 |
| ყდით . . . . . . . „ | | 70 |
| ხანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . „ | | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . „ | | 20 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . „ | | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . „ | | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | 1 | |
| საუმაწვილო ამბები . . . „ | | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები „ | | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. „ | | 80 |
| სურამის ციხე . . . . „ | | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . „ | | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . „ | | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . „ | | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . „ | | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . „ | | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ამბოხი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . „ | | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . ,, | | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . „ | | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . „ | | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუნიასშვილისა . . . . „ | | 15 |
| ღოცვანი, ღამბაშიძისა . . „ | | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. ,, | | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. . . „ | | 20 |
| ვაზის ობი . . . . . . „ | | 10 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . „ | | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . „ | | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . „ | | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . „ | | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . ,, | | 50 |

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

*) შემდეგი დეპეშა შეეხება თავად-აზნაურთ რუსეთში, რომელთაც აუღიათ სესხი ამ წლის 1 ნოემბრამდე.

Доз. ценз. Тифлисъ 20-го Октября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.